20.02.2020

იმპორტის ფასების ინდექსი საქართველოში

2020 წლის იანვარი

იმპორტის ფასების ინდექსი წინა თვესთან შედარებით შემცირდა 0.6 პროცენტით, ხოლო წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით სახეზე გვაქვს ინდექსის 9.1 პროცენტიანი ზრდა.

წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ფასები 9.5 პროცენტით გაიზარდა დამამუშავებელი მრეწველობის პროდუქციაზე, ხოლო სამთომოპოვებითი მრეწველობისა და კარიერების დამუშავების პროდუქციის ჯგუფზე 5.6 პროცენტიანი მატება ფიქსირდება. რაც შეეხება ელექტროენერგიის, აირის, ორთქლისა და კონდიცირებული ჰაერის ჯგუფს, სახეზე გვაქვს ფასების 6.1 პროცენტიანი კლება.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია 2020 წლის იანვარში იმპორტის ფასების ინდექსები წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით, ასევე ინდექსების ფორმირებაში მონაწილე ძირითადი ქვეჯგუფების შესაბამისი წვლილები.

კოდი	ჯგუფები და ქვეჯგუფები	2019 წლის იანვართან	წვლილი* წლიური ინდექსის პროცენტულ ცვლილებაში
	სულ	**109.1**	**9.10**
B	**სამთომოპოვებითი მრეწველობისა და კარიერების დამუშავების პროდუქცია**	**105.6**	**0.80**
C	**დამამუშავებელი მრეწველობის პროდუქცია**	**109.5**	**8.37**
19	კოქსი და რაფინირებული ნავთობპროდუქტები	120.1	2.29
22	რეზინის და პლასტმასის პროდუქტები	116.5	0.73
D	**ელექტროენერგია, აირი, ორთქლი და კონდიცირებული ჰაერი**	**93.9**	**-0.07**

იმპორტის ფასების ინდექსი

(წინა წლის შესაბამისი თვე = 100)



საკონტაქტო პირი: გიორგი თეთრაული. ტელ: (+995 32) 236 72 10 (400) ელფოსტა: gtetrauli@geostat.ge